საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სასერტიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაცია დასრულდა

2023 წლის 25 ოქტომბრიდან საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სასერტიფიკაციო გამოცდების მეორე ეტაპი იწყება.

საგამოცდო ცენტრები საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს და მოქალაქეებს გამოცდის ჩასაბარებლად შერჩეულ ლოკაციებზე მომსახურებას სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებული გამოცდის სამდივნოების წევრები გაუწევენ.

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სურვილი, რეგისტრაციის შედეგების მიხედვით, 4430-მა მოქალაქემ დააფიქსირა, რაც, გამოცდაზე ჯამურად მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით 87%-ს შეადგენს (საგამოცდო ცენტრების მიხედვით რეგისტრირებულ გამოსაცდელთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე).
სერტიფიცირების პროცესი პროფილურად შემუშავებული ტესტებით წარიმართება (გასაჯაროებული საკითხები გამოცდაზე უცვლელი ფორმით გამოიყენება).
გამოცდის ჩაბარების მსურველთა საყურადღებოდ:
გამოსაცდელი სასერტიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ერთხელ, სარეგისტრაციო ბარათში მითითებული საგამოცდო ცენტრის მიხედვით, საგამოცდო თარიღისა და დროის დაცვით.

საგამოცდო დარბაზში დაშვების პროცედურის გავლის მიზნებისთვის, მოქალაქე საგამოცდო ცენტრში უნდა გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე 10 წუთით ადრე, თან უნდა იქონიოს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

გამოცდის მიმდინარეობისას გამოსაცდელს ეკრძალება: საგამოცდო დარბაზის დატოვება; ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების, ჩანაწერების ან სხვა ანალოგიური მასალის გამოყენება; გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება, სხვა პირისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა; ტექნიკური საშუალებების, მათ შორის, მობილური ტელეფონის შეტანა, გამოყენება.

გამოსაცდელი, რომელიც არ გამოცხადდება გამოცდაზე, დაგვიანებით გამოცხადდება, ან გამოცდის მიმდინარეობისას დაარღვევს დადგენილ წესებს მოიხსნება გამოცდიდან.

სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება ელექტრონული ტესტირების მეთოდით. გამოცდის ხანგრძლივობა 1 საათია. გამოსაცდელისათვის ელექტრონულ პროგრამაში ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩევა 24 საგამოცდო ტესტი, ყოველ საგამოცდო ტესტზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. დადებითი შეფასების მისაღებად გამოსაცდელმა უნდა დააგროვოს 15 ქულა. სერტიფიკატის მოქმედების ვადა განისაზღვრება გამოცდის ჩაბარებიდან 5 წლის ვადით.

სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარებას სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს.

2023 წლის ოქტომბერში გასამართი სერტიფიცირების გამოცდა

N	საგამოცდო ცენტრების მისამართები	საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობა	საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე დარეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა
1	თბილისი, მუხიანი, მე-3 მ/რ, კორპ. №23 (N10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	1800	1800
2	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №32 (N2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)		
3	თბილისი, წინანდლის №9 (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობა)		
4	ქ. გურჯაანი, რუსთაველის №18 (N12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	360	300
5	ქ. სიღნაღი, დავით აღმაშენებლის №19 (N13 სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	200	180
6	ქ. თელავი, დავითაშვილის №2 (N17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	360	360
7	ქ. რუსთავი, ფიროსმანის №19 (N20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	360	360
8	ქ. ბოლნისი, აღმაშენებლის №68 (N23 ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	240	178
9	ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის №35 (N26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	260	240
10	ქ. გორი, სამების №1 (N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	720	600
11	ქ. მესტია, თამარ მეფის №14 (N47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	200	162
12	ქ. ოზურგეთი, დოლიძის ქ. №1 (N60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	500	250